გაზეთი „აჭარა“, 22 ნოემბერი, 2017 წელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 60 წლისაა

საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია - ბათუმში

საქართველოს აგრარული მეცნიერული პოტენციალის მთავარი საფუძველი, სოფლის მეურეობის მეცნიერებათა აკადემია 1957 წელს დაარსდა. 2017 წელი მისთვის საიუბილეოა.ამასთან დაკავშირებით, ახლახან ბათუმში, აკადემიის, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსისტეტის ერთობლივი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, საგულისხმოა, რომ ეს კონფერენცია საიუბილეო პროგრამით გათვალისწინებული პირველი ღონისძიება იყო და თემაც მეტად საგულისხმო გახლდათ, „აჭარის აგრარული სექტორის თანამედროვე პრობელემი და მათი დაძლევის პერსპექტივები“. კონფერენცია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა სხდომათა დარბაზში ჩატარდა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიის წევრები, აკადემიკოსები ელგუჯა შაფაქიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, რევაზ მახარობლიძე, რეზო ჯაბნიძე, ვალერიან ცანავა, თენგიზ ყურაშვილი, გურამ პაპუნიძე, აკადემიის აჭარის სამეცნიერო საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი ზაურ ფუტკარაძე აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში, აჭარის საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ ცინცაძე, სამინისტროს თანამშრომელთა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა წარმომადგენლები. ბატონმა ავთანდილ მესხიძემ დამსწრეთ მიულოცა აკადემიის 60 წლის იუბილე და გააცნო აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის და აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მისალმებები საუბილეო თარიღთან დაკავშირებით .

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა რომ სამეცნიერო კონფერენციის ბათუმში ჩატარება მეტად საპატიოა აჭარის აგრარიკოსებისთვის, ეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია აკადემიას, სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის გზაზე.

ჩვენ მრავალი წელია ვთანამშრომლობთ აკადემიასთან და ვსარგებლობთ მისი გამოცდილებით -თქვა მინისტრმა- ამჯერადაც წარმოგიდგენთ რა სამინისტროს მომავალი წლის გეგმებს, თქვენი მოსაზრებები, რჩევები, წინადადებები და რეკომენდაციები დიდად დაგვეხმარება მეტი წარმატების განხორციელებაში. ასევე , ვთანამშრომლობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო - კვლევით ცენტრთან, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებთა დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე ხელმძღვანელობს. ცენტრი წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა და მისი გამოცდილებაც ძალიან დაგვეხმარება სამეცნიერო კვლევების ჩატარებაში.

წარმატებით განხორციელებულ და 2018 წლისთვის დაგეგმილ პროექტებზე საუბრისას, მინისტრი კონფერენციის თემის მიუხედავად, აჭარის აგროსექტორში არსებულ პრობლემებს და მათი დაძლევის პერსპექტივებს არ შეხებია. სამომავლო პროექტები კი, რომლებიც სამინისტროს < პროექტების მართვის ცენტრმა > უნდა განახორციელოს, უმეტესად ძველი, კარგად ნაცნობია და კვლავაც ფერმერთა ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ასეთია მრავალწლიანი დ ერთწლიანი კულტურების განვითარების ხელშეწყობის, სასათბურე მეურნეობის განვითარების, მუნიციპალიტეტებში ადგილზე წარმოებული პროდუქციის საკონსოლიდაციო საწარმოების მოწყობის, ვენახებისთვის რკინა-ბეტონის ბოძებით ფერმერთა მომარაგების პროექტები, რომლებიც თანადაფინანსების პრინციპით განხორციელდება. მინისტრმა ასევე ისაუბრა კარტოფილის და ნივრის (ლუშავას) წარმატებულ პროექტებზე, ფოსფორიტის ფქვილის შემოტანის ახალ პროექტზე, იმაზეც, რომ სამინისტრო აპირებს 20 ჰექტარზე გააშენოს ჩაის ახალი პლანტაცია, შუახევში ააწყონ გვარაში არსებულის მსგავსი საჩითილე-სანერგე მეურნეობა და მთის მოსახელეობას ხელი შეუწყონ ხეხილის ბაღებისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურების გაშენებაში. მან დადებითად შეაფასა სამინისტროს < აგროსერვისცენტრის> მეურნეობის ბაზაზე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების სტუდენტებს ხელფასის სახით გარკვეული თანხაც კი ეძლევათ, დაგეგმილია ქობულეთში, ცენტრალურ პარკში, ციტრუსის ფესტივალის ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მანდარინის რეალიზაციას.

მინისტრმა ასევე ისაუბრა 2018 წელს განსახორციელებელი ახალი კვლევების შესახებ, რომლებიც როგორც აღინიშნა დიდად შეუწყობს ხელს აჭარის აგროსექტორის განვითარებას. ესენია: ქარსაფარი ზოლების მდგომარეობის შესწავლა და მათი გაშენების თაობაზე რეკომენდაციების, ნიადაგის ეროზიული პროცესებისგან დაცვის მიზნით საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად სათანადო დასკვნის შემუშავება <ამოგების> სამართლებრივი ფორმის დადგენა, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, სამელიორაციო სისტემებისა და მათი ინსფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის ეკონომიკური ეფექტის შესწავლა. არაფერი თქმულა, რომ ამ კვლევების მიზნობრიობასა და მიზანშეწონილობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. უნივერსიტეტის რექტორი მერაბ ხალვაში მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს, იუბილე მიულოცა აკადემიას და აღნიშნა, რომ აკადემიის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის აგარული სექტორის განვითარებისთვის. აკადემიის გამოცდილება მათ ეხმარებათ სასწავლო პროცესის განვითარებაშიც, რამდენადაც აგრარული მიმართულება უ ნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია.

2010 წელს ჩვენს ინსტიტუტში განხორციელდა ორი ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინტეგრაცია, როგორიცაა ქობულეთის ფიტოპათოლოგიის და მცენარეთა დაცვის ინსიტუტი და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი. ერთობლივად ვმუშაობთ, რომ სამეცნიერო კვლევები რაც შეიძლება მჭიდროდ იყოს დაკავშირებული აკადემიურ

სწავლებასთან. ახლახან ამ მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით, აგრარული მიმართულების განვითარებისათვს 1 100 ათასი ლარის ღირებულების ლაბორატორია შევიძინეთ, გავაკეთეთ სათბურიც, აღსანიშნავია, რომ ჩვენს უნივერსიტეტსა და აკადემიას შორის შარშან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომლის ფარგლებში მეტ პროექტს განვახოციელებთ. გვინდოდა ეს კონფერენცია უნივერსიტეტში ჩაგვეტარებია, მაგრამ რემონტის გამო ეს ვერ მოხერხდა. შემდგომში კი აკადემიას ყოველთვის ვუმასპინძლებთ, - აღნიშნა ბატონმა მერაბ ხალვაშმა .

აკადემიკოსმა ელგუჯა შაფაქიძემ მადლობა გადაიხადა მილოცვებისთვის და მოკლედ ისაუბრა აკადემიის ისტორიის შესახებ. ჩვენი აკადემია 1957 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა-თქვა მან.- მის პირველ პრეზიდენტად აკადემიკოსი მიხეილ საბაშვილი აირჩიეს. მაშინ აკადემიაში 14 აკადემიკოსი და 8 წევრ-კორესპონდენტი იყო. 1971 წელს შეიქმნა სრულიად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონალური განყოფილება და აკადემიკოს-მდივნად ივანე ხოხლოვი დაინიშნა, 1983 წელს აკადემიკოსი ვალერიან მეტრეველი. 1990 წელს კვლავ შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და მის პრეზიდენტად ისევ ვალერიან მეტრეველი აირჩიეს. 2004-12 წლებში აკადემიის პრეზიდენტები იყვნენ აკადემიკოსები ნაპოლეონ ქარქაშაძე და შოთა ჭალაგანიძე, ხოლო 2013 წლიდან მას აკადემიკოსი გურამ ალექსიძე ხელმძღვანელობს. დღეისთვის აკადემიაში 32 ნამდვილი წევრი -აკადემიკოსია. ესენი არიან საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები, რომელთა მიერ ან მათი მონაწილეობით გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველთა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ჩაის მოვლა-მოყვანის, ფოთლის კრეფის და გადამუშავების მანქანური ტექნოლოგების დარგში შექმნილია 50 მდე მანქანა-დანადგარი და სხვა ტექნიკური საშუალება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს არსებული ხორბლის 23 ჯიშიდან , 14_ის სამშობლო საქართველოა, თანაც საუკეთესო გაუმჯობესებული ჯიშების. ასევეა მევენახეობაში , მეხილეობაში, მეცხოველეობაში. აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის წევრია .

თაანშრომლობს 20 მდე საერთაშორისო აგრარულ ორგანიზაციასთან , სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებთან, კვლევით ინსტიტუტებთან, უნივერსიტეტებთან. აკადემიის წევრებს დღემდე გამოქვეყნებული აქვთ 7790-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 203 მონოგრაფია, 155 სახელმძღვანელო, 380 გამოგონება და პატენტი , 131 რაციონალიზატორული წინადადება, გამოიყვანეს მცენარეთა და ცხოველთა 25 ახალი ჯიში, ეს ძალიან კარგი მონაგარია, -აღნიშნა დასასრულს ელგუჯა შაფაქიძემ .

შემდეგ მომხსენებელმა აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა, რევაზ მახარობლიძემ , თენგიზ ყურაშვილმა, ვალერიან ცანავამ , რეზო ჯაბნიძემ , ელგუჯა შაფაქიძემ , გურამ პაპუნიძემ ისაუბრეს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და მართვის საკითხებზე, დეგრადირებული ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციას,

ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ საშუალებებზე, აჭარაში გავრცელებულ ცხოველთა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე, სუბტროპიკული კულტურების განოყიერების გადაუდებელ ამოცანებზე, აჭარაში აგრარული კადრების მომზადებასა და დასაქმებაზე, მეაბრეშუმეობის აღორძინების პერსპექტივებზე და ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებზე აჭარაში.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა გოგოლა მარგველაშვილის , რევაზ მახარობლიძის, ელგუჯა შაფაქიძის, თენგიზ ყურაშვილის და რეზო ჯაბნიძის მოხსენებები. კამათის შემდეგ კონფერენციის მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე , რომ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და უხვის მოსავლის მისაღებად, ჩვენს პირობებში მიზანშეწონილია მინერალური და ორგანული სასუქების ერთობლივი, ნორმალიზებული გამოყენება. ინტენსიური მიწათმოქმედება ამის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენი ნიადაგობრივ კლიმატური პირობები ამის საშუალებას იძლევა, მაშინ, როცა მთელი მსოფლიო მინერალური სასუქების ინტენსიურ გამოყენებაზეა გადასული .

ცნობილია, რომ საქართველო ჩაის მოვლა-მოყვანის, ფოთლის კრეფის და გადამუშავების მანქანური ტექნოლოგიების სამშობლოა. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის თქმით, გასული საუკუნის ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის აკადემიაში დამუშავდა პროექტები, რომელთა განხორციელებითაც მსოფლიოში ჩაის მექანიზაციის მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი გვქონდა. ამჯერადაც შექმნილია დეგრადირებული ჩაის ბუჩქების ნახევრად მძიმე, მძიმედ სასხლავი და ამოსაძირკვი მოწყობილობა, რომელიც მაღალმწარმოებლურიცაა ამ მძიმე სამუშაოდანაც ათავისუფლებს ადამიანს. მას მხოლოდ დამხმარეს როლის შესრულება უწევს . ეს მანქანა -მოწყობილობა დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის მასობრივად უნდა გამოვიყენოთ .

ყველასათვის სასიამოვნო იყო აკადემიკოს ელგუჯა შაფაქიძის ცნობა იმის შესახებ , რომ მომავალ წელს იწყება მეაბრეშუმეობის აღორძინების პროგრამა, აჭარაში მოეწყობა აბრეშუმის ჭიის ე.წ ესქპერიმენტული - საჩვენებელი გამოკვება ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც შეკვეთილია ოზურგეთის მექანიკურ ქარხანაში და გაზაფხულისთვის მზად იქნება .

აგრარული კადრების მომზადება და დასაქმება აჭარის აგროსექტორში ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია, - თქვა აკადემიკოსმა რეზო ჯაბნიძემ,- აგრარიკოსების მომზადების მხრივ საყვედური არ გვეთქმის, მაგრამ მათი დასაქმება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ბოლო 10 წლის მონაცემებით ჩვენი უნივერსიტეტის აგრონომიული მიმართულება 930 სტუდენტმა დაამთავრა და მათი მხოლოდ 8 %-ია აჭარის აგროსექტორში სპეციალობის შესაბამისად დასაქმებული. 2 წელია შეიქმნა შპს <<მექანიზატორის >> ჩაქვის ფილიალი. 20-მდე თანამშრომლიდან მექანიზატორი მხოლოდ ორია, დანარჩენები იურისტ-ეკონომისტი, მენეჯერი და ადმინისტრირების სპეციალისტია. ასეა ქობულეთში ზარ-ზეიმით გახსნილ აგრომარკეტშიც - 6 თანამშომლიდან სპეციალისტი ერთიც არ არის. თვით სამინისტროს აპარატში ე.წ

რეორგანიზაციის შემდეგ (კონკურსში 300-მდე მსურველი მონაწილეობდა) 14 ახალი თანამშრომელი მიიღეს. უმრავლესობა იურისტი, ეკონომისტი, მენეჯერი და ბიზნესის სპეციალისტია და ეს მაშინ, როცა სამინისტროშიც და მთლიანად აჭარის აგროსექტორშიც აგრონომების, ვეტერინარების, ენტომოლოგების, მიწათმოქმედების და სხვა სპეციალისტების მწვავე ნაკლებობაა. უპირევლესად, თავად სამინისტროს ბრალია . დაუსაქმებელი ახალგაზრდა მეცნიერი -სპეციალისტებიც. ამ მიმართებითაც ბევრი სავალალო მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამაზე შემდგომ . დასკვნის სახით მხოლოდ ეს შეიძლება ითქვას, რომ აგრარულ სექტორში , ასეთი საკადრო პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არც პროფესიონალიზს ეთმობა სათანადო ყურადღება.

აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის აზრით, აჭარაში რადიკალურადაა გასაუმჯობესებელი ვეტერინალური მომსახურება. უამისოდ ევროპული დონის მეცხოველეობა ვერ გვექნება. ცხოველთა მავნებელ -დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსური უნდა გახდეს, მაგალითად ბლუცეროზის წინააღმდეგ, რომელიც მეტად საშიშია ადამიანისთვისაც.

ჩვენი მეცნიერებათა აკადემია რომ არ ყოფილიყო , საერთოდ არ გვეცოდინებოდა , რა ხდებოდა საქარველოს ან სხვა ქვეყნების აგროსექტორში , რა უნდა გაგვეკეთებინა ამ სფეროში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით განვითარდა მასობივი დასაქმების და მაღალშემოსავლიან დარგები საქართველოში, მათ შორის აჭარაში და სული მოითქვა ჩვენმა ხალხმა,- თქვა აკადემიკოსმა გურამ პაპუნიძემ .

ითქვა, რომ მომავალ წელს აკადემიის წევრების არჩევნებია და ერთი ადგილი საკუთრივ აჭარისთვისაა დაშვებული, დაგეგმილია აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკონსულტაციო ცენტრის ორგანიზატორული გაძლიერებაც .

კარგია, რომ ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა კვლავაც პრიორიტეტულია, ეს აკადემიასაც მეტი პასუხიმგებლობის წინაშე აყენებს და სტიმულსაც აძლევს მუშაობაში. შესაძლოა, ყვლაფერს ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა, მაგრამ მომავალს იმედით შევყურებთ და აუცილებლად გვექნება, უკეთესი შედეგი , - თქვა დასასრულს ბატონმა ზაურ ფუტკარაძემ. ითქვა აგრეთვე, რომ მომდევნო საიუბილეო კონფერენცია ქუთაისშიც გაიმართება .